

სახელმწიფოს მიზანი რომ არის საყოველთაო ინტერესი როგორც ასეთი და რომ მასში როგორც სუბსტანციაში განსაკუთრებული ინტერესია შენახული, ეს არის: 1. მისი *აბსტრაქტული სინამდვილე* ანდა სუბსტანციალობა; მაგრამ ის არის 2. მისი *აუცილებლობა*, როგორც მისი ქმედითობის ცნების *განსხვავებაში* თავისი თავის განმასხვავებელი, რომლებიც ამ სუბსტანციალობის, ისევე როგორც ამ ნამდვილი მყარი განსაზღვრებების გავლით, ძალაუფლებანი არიან; 3. სწორედ ეს სუბსტანციურობა არის *განათლების ფორმით გამსჭვალული*, თავისი თავის მცოდნე და მნებელი სული. ამიტომ, სახელმწიფომ იცის, თუ რა სურს, და ეს იცის სწორედ მის *საყოველთაობაში* ე.ი. როგორც *ნააზრევი*; ის იღვწის და მოქმედებს გაცნობიერებული მიზნების, ნაცოდნი ძირითადი დებულებებისა და კანონების მიხედვით, როგორც ისინი არა ოდენ *თავისთავად*, არამედ ცნობიერებისთვის; და ასევე იმდენად, რამდენადაც მისი მოქმედებები დაკავშირებულია უშუალოდ ხელთმყოფ გარემოებებთან და მიმართებებთან, მათ შესახებ გარკვეული ცოდნის მიხედვით.

აქვე უნდა შევხვით *სახელმწიფოსა და რელიგიის მიმართებას*, ვინაიდან ახალ დროში სულ უფრო ხშირად იმეორებენ, რომ რელიგია სახელმწიფოს საფუძველია, და ამას ისეთი პრეტენზიით ამტკიცებენ ხოლმე, რომ თითქოსდა ამით ამოიწურებოდეს სახელმწიფოს შესახებ მთელი მეცნიერება, - არ არსებობს უფრო მეტად მოსახერხებელი მტკიცება, ამოდენა ქაოტურობის წარმოშობა რომ შეეძლოს, თავად სახელმწიფოს კონსტიტუციის ქაოტურობის, იმ ფორმამდე ამაღლება, რომელსაც შემეცნების ფორმა უნდა ჰქონდეს. - უპირველეს ყოვლისა, საეჭვოა, რომ ადამიანები რელიგიას უპირატესად საყოველთაო სილატაკის, გაჭირვებისა და ჩაგვრის პერიოდებში უწევდნენ რეკომენდაციას და ეძიებდნენ და მათზე იგი მოქმედებდეს როგორც *უსამართლობის* პირისპირ ნუგეში და *დანაკარგის* შევსების იმედი. მაშინ, როცა რელიგია ამქვეყნიური ინტერესების, სინამდვილის მოვლენებისა და მისი საქმეების მიმართ გულგრილად ყოფნაზე მიგვითითებს, სახელმწიფო არის სული, *რომელიც სამყაროში დგას*; ამიტომ, როგორც ჩანს, რელიგიაზე მითითება არ გამოდგება საიმისოდ, რომ სახელმწიფოს ინტერესი და საქმე არსებითად სერიოზულ მიზნად აღამაღლოს; პირიქით, სახელმწიფოს მართვას იგი

წარმოადგენს როგორც გულგრილი თვითნებობის საქმეს; იმგვარად, თითქოსდა მასში მხოლოდ ვნების მიზნები, უსამართლო ძალაუფლება და ა.შ ბატონობდეს; ან რომ რელიგიაზე ამგვარი მითითება მხოლოდ თავისთვის არის ქმედითი და სურს მოთხოვნად ჰქონდეს უფლებების განსაზღვრა და მათი გამოყენება. დაცინვა იქნებოდა, თუ ტირანიის საპირისპირო ყველა შეგრძნება იმით იქნებოდა უარყოფილი, რომ ჩაგრული ნუგეშს რელიგიაში ჰპოვებს; მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რელიგიას შეუძლია მიიღოს იმგვარი ფორმა, რომელსაც შედეგად აქვს უსასტიკესი მონობა ცრურწმენისა და ადამიანის ცხოველზე დაბლა დეგრადაციის ბორკილებში (როგორც ეგვიპტელებსა და ინდოელებში, რომლებიც თავყვანს სცემენ ცხოველებს როგორც უზენაეს არსებებს). ეს მოვლენა, სულ ცოტა, იმაზე მიმართავს ჩვენს ყურადღებას, რომ არ უნდა ვისაუბროთ რელიგიაზე საერთოდ და რომ პირიქით, მის წინააღმდეგ აუცილებელი იქნებოდა მხსნელი ძალა, რომელიც ანგარიშს გაუწევდა გონებისა და თვითცნობიერების უფლებებს. მაგრამ რელიგიასა და სახელმწიფოს შორის მიმართების არსობრივ განსაზღვრებას მაშინ მივიღებთ, თუ მის ცნებას გავიხსენებთ. რელიგიას თავის შინაარსად აქვს აბსოლუტური ჰემმარიტება და ამიტომ მას უკავშირდება მრწამსის უმაღლესი. როგორც ჰერტა, გრძნობა, წარმოდგენითი შემეცნება, რომელსაც საქმე აქვს ღმერთთან, როგორც შეუზღუდავ საფუძველთან და მიზეზთან, რომელზეც დამოკიდებულია ყოველივე, რელიგია შეიცავს მოთხოვნას, რომ ყველაფერი გააზრებული იქნეს ამ მიმართებაში და მასში მოიპოვოს თავისი დადასტურება, გამართლება და გაუმჯობესება. სახელმწიფო და კანონები, როგორც მოვალეობები, ამ მიმართებაში ცნობიერებისთვის უზენაეს დადასტურებასა და უზენაეს მავალდებულობლას იძენს; თავად სახელმწიფო, კანონები და მოვალეობები თავიანთ სინამდვილეში განსაზღვრული რამაა, რომელიც უზენაეს სფეროში როგორც მათ საფუძველში გადადის (*ფილოს. მეცნ. ენციკლოპ.* § 453). ამიტომ, რელიგია შეიცავს ისეთ ადგილს, რომელშიც ნამდვილი მიზნების, ინტერესებისა და საკუთრების დაკარგვისას და გარდაქმნისას, ცნობიერებას უცვალელებელი და უზენაესი თავისუფლება და

დაკმაყოფილება ენიჭება.¹ თუ რელიგია იმ საფუძველს ქმნის, რომელიც საერთოდ ზნეობრივს და სახელმწიფოს ბუნებას როგორც ღვთაებრივ ნებას შეიცავს, მაშინ ის იმავდროულად არის *საფუძველი*, რაც ის არის, და აქ ის არის, რაშიც ისინი ერთმანეთს განეყოფიან. სახელმწიფო არის ღვთაებრივი ნება როგორც დამსწრე, თავისი თავის ნამდვილ ფორმად და *სამყაროს ორგანიზაციად* გამშლელი სული. - ისინი, ვისაც, სახელმწიფოს საპირისპიროდ რელიგიის ფორმასთან დარჩენა სურთ, საკუთარ თავს ისე მიემართებიან, რომლებიც ვარაუდობენ, რომ შემეცნებაში უფლება აქვთ, მაშინ როცა მხოლოდ არსთან ჩერდებიან და ამ აბსტრაქტუმიდან არ გადადიან მუნყოფნაზე, ან როგორც ისინი (იხ. ზემოთ, §140 შენ.), რომელთაც მხოლოდ აბსტრაქტული სიკეთე სურთ - იმათსავით, ვისაც მხოლოდ აბსტრაქტული სიკეთე სურთ და იმის განსაზღვრებას, თუ რა არის ეს სიკეთე, თვითნებობის ამარად ტოვებენ. რელიგია არის აბსოლუტურთან მიმართება *გრძნობის, წარმოდგენის, რწმენის ფორმით* და მის ყოვლისმომცველ ცენტრში ყველაფერი შემთხვევითი და წარმავალია. თუ ჩვენ სახელმწიფოსთან მიმართებაშიც ამ ფორმას დავემყარებით და მივიჩნევთ, რომ იგი სახელმწიფოსთვისაც არსებითად განსაზღვრელი და ძალამოსილია, მაშინ ეს უკანასკნელი, როგორც ორგანიზმი, რომელიც შეიცავს მიმდინარე განსხვავებებს, კანონებსა და დაწესებულებებს, განწირული იქნება რყევის, საშიშროებისა და დაღუპვისთვის. ობიექტური და საყოველთაო, კანონები, ნაცვლად იმისა, რომ მტკიცედ და ძალამოსილად იყვნენ განსაზღვრულნი, იძენენ მხოლოდ ნეგატიურ განსაზღვრებას იმ ფორმის მიმართ, რომელიც ყოველივე განსაზღვრულს თავის საბურველში ჰხვევს და ამით სუბიექტურად ქმნად ფორმად გვევლინება და ადამიანის ქცევისთვის კი ამის შედეგი ასეთია: მართალთათვის არ არსებობს კანონი; იყავით ღვთისმომშიშნი და სხვა მხრივ აკეთეთ ყველაფერი, რაც

¹ *რელიგიას*, ისევე როგორც *შემეცნებას* და *მეცნიერებას*, აქვს თავისებური, სახელმწიფოსგან განსხვავებული ფორმა თავის პრინციპად; ამიტომ, ისინი შეაბიჯებენ სახელმწიფოში, ნაწილობრივ, განათლებისა და მრწამსის *საშუალებებთან* მიმართებაში, ნაწილობრივ კი, იმდენად, რამდენადაც ისინი არსობრივად *თვითმიზნები* არიან, იმ მხრით, რომ მათ გარეგანი მუნყოფნა აქვთ. ორივე კუთხით, სახელმწიფოს პრინციპები გამოყენებითად მიემართებიან მათ; სახელმწიფოს სრულყოფილად კონკრეტულ განხილვაში ყოველი სფერო, როგორც ხელოვნება, ოდენ ბუნებითი მიმართებები და ა.შ., ამავედროულად, იმ მიმართებაში და იმ ადგილას უნდა იქნეს განხილული, რომელიც მათ სახელმწიფოში აქვთ; მაგრამ, აქ, ამ განხილვაში, სადაც სწორედ სახელმწიფოს პრინციპია, რაც თავის *საკუთრივ* სფეროში ხორციელდება თავისი იდეის შესაბამისად, შესაძლოა გავლით იყოს საუბარი მის პრინციპებსა და სახელმწიფოს უფლებების მათზე *გამოყენებაზე*.

მოგესურვებათ, - გადაეშვიტ თვითნებობასა და ვნებებში, სხვებს კი, ვინც ამით უსამართლობას განიცდის, ურჩიეთ, შვება და სასოება რელიგიაში ეძიონ ანდა უფრო ცუდი: უარყავით და შეაჩვენეთ როგორც არარელიგიური. მაგრამ, რამდენადაც ეს ნეგატიური მიმართება არ რჩება მხოლოდ შინაგან მრწამსად და თვალსაზრისად, არამედ სინამდვილეში გადადის და მასში ხდის თავის თავს ქმედითად, წარმოიშობა რელიგიური *ფანატიზმი*, რომელიც, როგორც პოლიტიკური, ყოველგვარ სახელმწიფო ინსტიტუტსა და კანონიერ წესრიგს შემზღუდავად, შინაგანის, სულის უსასრულობისთვის შეუსაბამო საზღვრად და კერძო საკუთრებას, ქორწინებას, სამოქალაქო საზოგადოების შრომასა და მიმართებებს და ა.შ., სიყვარულსა და თავისუფლების შეგრძნებას უღირსად განაგდებს. მაგრამ, ვინაიდან გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ნამდვილი მუნყოფნისა და მოქმედებისთვის, იგივე რამ შემოაბიჯებს, როგორც ნების თავისი თავის აბსოლუტურად მცოდნე სუბიექტურობა (§140), რომელიც გადაწყვეტილია სუბიექტური წარმოდგენიდან, ე.ი. *მოსაზრებიდან* და *თვითნებობის მოხასიათებიდან*. - ჭეშმარიტება კი ამ სუბიექტური გრძნობისა და წარმოდგენის საბურველში გახვეული ჭეშმარიტის საპირისპიროდ არის განუზომელი გადასვლა შინაგანისა გარეგანში, გონების გადაბიჯება სინამდვილეში, რისთვისაც იღვწოდა მთელი მსოფლიო ისტორია და რომლის მუშაობის წყალობითაც განათლებულმა კაცობრიობამ გონებრივი მუნყოფნის ცნობიერება და ნამდვილობა, სახელმწიფო ინსტიტუტები და კანონები შეიძინა. მათგან, ვინც *ბატონს ეძიებენ* და თავიანთი გაუნათლებელი მოსაზრებით ყველაფრის *უშუალოდ* ქონაში არწმუნებენ თავს, ნაცვლად იმისა, რომ შრომა გაიღონ, თავინთი სუბიექტურობა ჭეშმარიტების შემეცნებამდე და ობიექტური უფლებისა და მოვალეობის ცონდნამდე აღამაღლონ, შესაძლოა მხოლოდ ზნეობრივ მიმართებათა ნგრევიდან, უგუნურებიდან და უმსგავსობიდან მომდინარეობდეს; - სწორედ ასეთია იმ რელიგიური მრწამსის შედეგები, რომელიც ანგარიშს მხოლოდ ფორმას უწევს და ამგვარად უპირისპირდება სინამდვილესა და ჭეშმარიტების საყოველთაობას, რომელიც კანონის სახით არსებობს. მაგრამ, არ არის აუცილებელი, რომ რელიგიურმა მრწამსმა ხორცი შეისხას; მას შეუძლია, შინაგან ნეგატიურ თვალსაზრისად დარჩეს, უწყებებსა და კანონებს დაემორჩილოს და ამგვარი მორჩილებით, ოხვრით ან სიძულვილით და სანატრელზე ოცნებით

დაკმაყოფილდეს. ჩვენი დროის არა სიძლიერე, არამედ, პირიქით, სისუსტეა, რომ რელიგიურობა ღვთისმოწიწების *პოლემიკური სახე* გახდა, თითქოსდა ის დამოკიდებული იყოს ჭეშმარიტ მოთხოვნილებაზე ანდა ცარიელ, დაუკმაყოფილებელ მედიდურობაზე. ნაცვლად იმისა, რომ თავისი შეხედულება შრომითა და სწავლით დაძლიოს და თავისი ნებელობა დისციპლინას დაუმორჩილოს და ამგვარად აღამაღლოს ის თავისუფალ მორჩილებამდე, ყველაზე ხელმისაწვდომია, რომ უარი თქვას ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნებაზე, შეინარჩუნოს მორჩილების გრძნობა და მასთან ერთად თავმოთნეობა და თვით ღვთისმოსაობის მდგომარეობაში აღიჭურვოს ყოველივე იმით, რაც საჭიროა ბუნების კანონებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა განსაჭვრეტად, მათზე თავისი მსჯავრის გამოსატანად და იმაზე მისათითებლად, თუ როგორ უნდა მათი დაფუძნება ან რა სახით ჯერ არს ამის გაკეთება; ვინაიდან ყოველივე ეს ღვთისმოსავი გულიდან მოდის, შეუმცდარი და ხელშეუხებელია; როცა განზრახვები და მტკიცებები რელიგიას იხდის საფუძვლად, მის წინააღმდეგ შეუძლებელი იქნება მათ ზედაპირულობასა და უსამართლობაზე საუბარი.

მაგრამ, რამდენადაც რელიგია, როცა იგი ჭეშმარიტი სახითაა, არ არის ნეგატიურად და პოლემიკურად მიმართული სახელმწიფოს საპირისპიროდ, და პირიქით, აღიარებს და ადასტურებს მას, ამდენად მას აქვს თავისი *მდგომარეობა* და თავისი *გამოხატულება*. მისი კულტმსახურების საქმე მდგომარეობს *მოქმედებებსა* და *მოძღვრებაში*; ამიტომ, მას ესაჭიროება *მესაკუთრეები* და *საკუთრება*, ასევე - თემის/მრევლის ერთგულად მომსახურე *ინდივიდები*. ამგვარად, სახელმწიფოსა და ეკლესიურ თემს შორის მყარდება მიმართება. ამ მიმართების განსაზღვრება მარტივია. საგნის ბუნებაშია, რომ სახელმწიფო ასრულებდეს თავის მოვალეობას, რომ ხელი შეუწყოს მრევლს რელიგიური მიზნისკენ სწრაფვაში და უზრუნველყოს მისი დაცვა; უფრო მეტიც, ვინაიდან რელიგია მრწამსის სიღრმისეულ დონეზე მაინტეგრირებელ მომენტს შეიცავს, უპრიანია, სახელმწიფო თავისი ქვეშევრდომებისგან რომელიმე რელიგიურ თემში გაერთიანებას მოითხოვდეს; მაგრამ იგი არ ერევა რელიგიური წარმოდგენის შინაარსში, რამდენადაც რელიგია წარმოდგენის შინაარსს მიემართება, რაზეც სახელმწიფო ვერ მიანდობს თავს.

ორგანიზაციულად სრულად განვითარებულ და ამდენად ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია ამ მხრივ ლიბერალური იყოს და თვალი დახუჭოს ცალკეულობებზე, რომლებიც შესაძლოა, მას ეხებოდნენ; უფრო მეტიც, მას შეუძლია თავის წიაღში ისეთი რელიგიური თემიც (რასაკვირველია, როცა საქმე მის წევრთა რაოდენობას ეხება) კი დაითმინოს, რომელიც მის წინაშე პირდაპირ მოვალეობას არ აღიარებს, სწორედ იმით რომ მათ წევრებს სამოქალაქო საზოგადოებასა და მის კანონებს მიანდობს და კმაყოფილდება პირდაპირი მოვალეობათა პასიური, გარდაქმნითა და გაცვლით გაშალებული შესრულებით.² - რამდენადაც საეკლესიო თემი *საკუთრებას* ფლობს, კულტმსახურების *მოქმედებებს* აღასრულებს და მსახურებაში ჰყავს ინდივიდები ჩართული, ის თავისი შინაგანობიდან სამყაროულში გამოდის და ამით სახელმწიფოს სფეროში გადადის, და ამგვარად *უმუალოდ* აქცევს თავის თავს მისი კანონების ქვეშ. ფიცი, ზნეობრივი საერთოდ, ქორწინების მიმართება თან ატარებს შინაგან განმსჭვალვასა და *მრწამსის* ამაღლებას, რომელიც რელიგიის მეშვეობით მოიპოვებს უღრმეს დადასტურებას; მაგრამ, ვინაიდან ზნეობრივი მიმართებანი არსებითად *ნამდვილი*

² კვაკერებზე, ანაბაპტისტებზე და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები არიან და როგორც კერძო პირები კერძო ურთიერთობაში არიან სხვებთან, და მხოლოდ ამ მიმართებაში ეძლევათ მათ ფიცი; სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობებს ისინი პასიურად ასრულებენ და უმნიშვნელოვანეს მოვალეობებს, იგი მტრისგან რომ დაიცვან, რასაც ისინი პირდაპირ უარყოფენ, სხვა სამუშაოს შესრულებაზე გაცვლით ასრულებენ. ამგვარი სექტების საპირისპიროდ სახელმწიფო *ტოლერანტობას* იჩენს; რადგანაც ისინი არ აღიარებენ სახელმწიფოსადმი მოვალეობას, მათ არ ძალუძთ მოთხოვნა ჰქონდეთ უფლებებსა და მის წევრობაზე. როცა ერთხელ ჩრდილოამერიკულ კონგრესში დიდი ხაზგასმით მიიღეს ნეგროების მონობის გაუქმება, ერთმა დეპუტატმა სამხრეთის პროვინციიდან შესატყვისი შეპასუხება გაახმოვანა: „მოგვეცით ჩვენ ნეგროები, და ჩვენ თქვენ კვაკერებს მოგცემთ.“ - მხოლოდ ამგვარი სიძლიერით შეუძლია სახელმწიფოს ამგვარი ანომალიები მხედველობიდან გამოტოვოს და დაითმინოს და უპირატესად მიენდოს თავისი ზნეების ძალასა და თავისი ინსტიტუციების შინაგან გონებრიობას, რომ ისინი შეამცირებენ და გადალახავენ განსხვავებებს, რადგანაც აქ მისი უფლებები არ არის ძლიერ ქმედითად დადგენილი. ამგვარი ფორმალური უფლება ჰქონდათ იუდეველებზე მათთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭების გათვალისწინებით, რამდენადაც ისინი არა რელიგიურ ჯგუფად, არამედ უცხო ხალხად მიიჩნიეს; ამგვარად, ამ და სხვა ხედვის წერტილიდან წარმოშობილ წივილ-კივილს მხედველობიდან გამორჩა, რომ ისინი უპირველეს ყოვლისა *ადამიანები* არიან და ეს არა ზედაპირული, აბსტრაქტული თვისებაა, არამედ ამაში ძევს ის, რომ მინიჭებული სამოქალაქო უფლებები სამოქალაქო საზოგადოებაში ქმედითობს როგორც *თვითშეგრძნება*, *სამართლებრივი* პირებისთვის და აქედან მომდინარეობს უსასრულო, ყველა თავისუფალი ფესვიდან მოთხოვნილი გათანაწილება აზროვნების ნირისა და მრწამსისა. იუდეველებისთვის ნასაყვედურები/ზრალდებული გამიჯვნა შენარჩუნდა და გამომრიცხავი სახელმწიფოსთვის სამართლიანად იქცა ბრალად და საყვედურად; ვინაიდან მან ამით თავისი პრინციპი - ობიექტური ინსტიტუციისა და მისი ძალისა ვერ შეიცნო (შდრ. §268 შენ. ბოლოში). ამგვარი გამორიცხვის მტკიცება, რამდენადაც იგი უმაღლესი უფლების მქონედ მოიაზრებს თავს, გამოცდილებაში ყველაზე დიდი უაზრობად მქდავანდება, მმართველობის ქმედების სახე კი ბრძნულად და ღირსეულად.

გონებრიობის მიმართებაშია, მასში, პირველ რიგში, დადასტურებული უნდა იყოს მისი უფლებები და რომლისთვისაც ეკლესიური დადასტურება მხოლოდ როგორც შინაგანი, აბსტრაქტული მხარე შემოაბიჯებს. - სხვა გაგარევებათა გათვალისწინებით, რომლებიც საეკლესიო გაერთიანებიდან ამოდიან, ამგვარად *მოდღვრებაში/სწავლებაში* შინაგანი ბევრად აღემატება გარეგანს, ვიდრე კულტუსის *მოქმედებებში* და მასთან დაკავშირებულ სხვა ქცევებში, სადაც *სამართლებრივი* მხარე, სულ მცირე, თავისთვის მაინც სახელმწიფოს საქმედ გვევლინება (მაგრამ, ეკლესიებმა სახელმწიფოს ძალაუფლებისა და იურისდიქციისგან მისი მსახურებისა და საკუთრების გათავისუფლებისა და საერო პირებზე მართლმსაჯულების უფლება მიიღეს, როგორცაა განქორწინება, ფიცის დადება და ა.შ., რომლებშიც რელიგია კონკურენციას სწევს). - *პოლიციური მხარე* ამგვარ მოქმედებებთან მიმართებით მართალია, განუსაზღვრელია, მაგრამ ამის მიზეზი ამ მხარის ბუნებაა, რომელიც თვს იჩენს სხვა, პირწმინდად სამოქალაქო მოქმედებებთან მიმართებითაც (იხ. §234). რამდენადაც ინდივიდთა რელიგიური თემობრიობა ერთობა სამწყსომდე, კორპორაციამდე აღიმალლებს თავს, ის საერთოდ სახელმწიფოს ზეპოლიციური ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. - მაგრამ, *მოდღვრებას* თავისი სფერო აქვს სინდისში, დგას რა თვითცნობიერების სუბიექტურ თავისუფლებაში - შინაგანობის სფეროში, რომელიც როგორც ასეთი არ ქმნის სახელმწიფოს სფეროს. მეორე მხრივ, მოძღვრება სახელმწიფოსაც აქვს, რამდენადაც მისი დაწესებულებები და ყველაფერი, რაც მისთვის საერთოდ ქმედითია, სამართლებრივს, კონსტიტუციას და ა.შ. ეხება, როგორც კანონი არსებითად *აზრის ფორმით* არსებობს, და რამდენადაც იგი მექანიზმი კი არა, თვითცნობიერი თავისუფლების გონებრივი სიცოცხლეა, ზნეობრივი სამყაროს სისტემაა; ამდენად, *მრწამსი* როგორც *ძირითადი დებულებების სახით* ჩამოყალიბებული ცნობიერება ნამდვილი სახელმწიფოს არსებითი მომენტია. თუმცა, ეკლესიის სწავლება თავის მხრივ არ არის მხოლოდ სინდისის შინაგანი სფერო, არამედ, პირიქით, *გამოხატულებაა* და იმავდროულად ის არის თვისი შინაარსის გამოხატულება - შინაარსისა, რომელიც უშინაგნეს კავშირშია ზნეობრივ ძირითად დებულებებთან და სახელმწიფოს კანონებთან, ან თავის თავს უშუალოდ მიემართება. ამგვარად, სახელმწიფო და ეკლესია ამ მხრივ ან პირდაპირ *თანხმობაშია ერთმანეთთან* ან

წინააღმდეგობაში. ამ ორი სფეროს განსხვავებულობა შესაძლოა, ეკლესიის მიერ მკვეთრ დაპირისპირებამდე მივიდეს, რომ მან, როგორც რელიგიურის აბსოლუტური შინაარსის შემცველმა, საერთოდ *სულიერი* და ამით ზნეობრივი ელემენტი თავის შემადგენელ ნაწილად განიხილოს, სახელმწიფოს კი მხოლოდ არასულიერი, გარეგანი მიზნების მიღწევის მექანიზმად, სამყაროს სამეფოდ, ე.ი. წარმავალის და სასრულის, უბრალო *საშუალებად* სწვდეს; თავისი თავი ღვთის სასუფეველად ანდა, სულ მცირე, მისკენ მიმავალ გზად და კარიბჭედ, თვითმიზნად მიიჩნიოს. ამ პრეტენზიას ემატება მოთხოვნა, რომ სახელმწიფომ ეკლესიას *დოქტრინალური სწავლების* საქმეში არა მხოლოდ სრული თავისუფლება მიანიჭოს, არამედ უპირობოდ პატივი სცეს მას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ამ სწავლების განსაზღვრება, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ეკლესიის საქმეა. თუ ეკლესიას ასეთი პრეტენზია უფრო ფართო საფუძველზე უჩნდება, რომ სულიერი ელემენტი საერთოდ თავისი საკუთრებაა, *მეცნიერება* და შემეცნება კი ამ სფეროში შედის, და ისინიც - ისევე როგორც ეკლესია - თავიანთი საკუთრივი პრინციპების ტოტალობამდე ვითარდებიან (და ამიტომ შეუძლიათ უფრო მეტი უფლებით განაცხადონ პრეტენზია ეკლესიის ადგილის დაკავებაზე), მაშინ მეცნიერებაც მოითხოვს სახელმწიფოსგან ამგვარ დამოუკიდებლობას და ამ უკანასკნელმა როგორც საშუალებამ მასზე როგორც თვითმიზანზე უნდა იზრუნოს. - ამ მიმართებისთვის სულერთია, ახორციელებენ თუ არა სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ექსისტენცს თემის მსახურებისთვის თავმიძღვნილი ინდივიდები ან წინამძღოლები, მის დაქვემდებარებაში ამ თემის დანარჩენი წევრები არიან, თუ ისინი მთლიანად სახელმწიფოს განეკუთვნებიან და მის გარეთ მათი წოდების მხოლოდ ერთი მხარე - მათი ეკლესიური განსაზღვრება რჩება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიმართება დაკავშირებულია სახელმწიფოს შესახებ წარმოდგენასთან, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ თითოეული ინდივიდის სიცოცხლის, საკუთრებისა და თვითნებობის უსაფრთხოება დაიცვას, რამდენადაც ისინი ზიანს არ აყენებენ სხვების სიცოცხლეს, საკუთრებასა და თვითნებობას, და ამგვარად, სახელმწიფო განიხილება მხოლოდღა როგორც საჭიროებათა ორგანიზება. ამგვარად, უზენაესი სულიერების, თავისთავად და თავისთვის ჭეშმარიტის

ელემენტი, როგორც სუბიექტური რელიგიურობა ან თეორიული მეცნიერება გატანილია სახელმწიფოს გარეთ, რომელმაც, როგორც *საერომ* თავისთავად და თავისთვის, პატივი უნდა სცეს ამ ელემენტს და საკუთრივ ზნეობრივი მის მიღმა რჩება. ისტორიულად რომ არსებობდნენ ეპოქები და ბარბაროსული მდგომარეობა, როცა უზენაესი სულიერება დავანებული იყო ეკლესიაში და სახელმწიფო როგორც საერო ხელისუფლება მხოლოდღა ძალმომრეობის, თვითნებობისა და ვნებების ინსტიტუტი იყო, და ზემოხსენებული აბსტრაქტული დაპირისპირება სინამდვილის მთავარი პრინციპი იყო (§358) - ყოველივე ეს ისტორიას განეკუთვნება. მაგრამ, სიბრძნე და ზედაპირულობა იქნებოდა, თუ ამ მდგომარეობას იდეის ჭეშმარიტ შესატყვისად წარმოვადგენდით. იდეის განვითარებამ, პირიქით, ის დაადგინა ჭეშმარიტებად, რომ სული თავისუფალი, გონებრივი, თავისთავად ზნეობრივია და რომ ჭეშმარიტი იდეა ნამდვილი გონებრიობაა და ეს უკანასკნელი სახელმწიფოს სახით არსებობს. ამ იდეამ ასევე ნათლად დაგვანახა, რომ ზნეობრივი *ჭეშმარიტება* მასში *მოაზროვნე* ცნობიერებისთვის ის *შინაარსია*, რომელსაც *საყოველთაობის* ფორმა მოუღია და *კანონის* სახით არსებობს, - სახელმწიფომ საერთოდ *იცის* თავისი მიზნები, რომელთაც განსაზღვრული ცნობიერებითა და პრინციპების მიხედვით იმეცნებს და ადასტურებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, რელიგიას საყოველთაო საგნად აქვს ჭეშმარიტება, მაგრამ ის როგორც *მოცემული* შინაარსი თავის ძირითად განსაზღვრებებში არ არის შეცნობილი აზროვნებისა და ცნების გავლით; ინდივიდის მიმართება ამ საგნისადმი, ანალოგიურად, ავტორიტეტზე დაფუძნებული მოვალეობა და *საკუთარი* გულისა და გონების *საბუთია*, როგორც *რწმენა* და *გრძნობა*, რომელშიც შესულია თავისუფლების მომენტი. არსებობს ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელიც შეიმეცნებს, რომ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთს უპირისპირდება არა ჭეშმარიტებისა და გონებრიობის *შინაარსის*, არამედ ფორმის მხრივ. ამიტომ, როცა ეკლესია *სწავლებას* (არსებობენ და არსებობდნენ ეკლესიები, რომლებიც მხოლოდ კულტუსს ასრულებენ; - სხვა ეკლესიები, რომელთათვისაც ეს უკანასკნელი მთავარი საქმე, ხოლო სწავლება და უფრო განვითარებული ცნობიერება მხოლოდ გვერდითი საქმეებია) აყალიბებს და ეს უკანასკნელი *ობიექტურ* პრინციპებს, ზნეობრიობისა და გონებრიობის გააზრებას ეხება, მაშინ ის ამ გამოხატულებით სახელმწიფოს სფეროში

გადადის უშუალოდ. ზნეობის, სამართლის, კანონებისა და ინსტიტუტების საკითხებში ეკლესიის რწმენისა და ავტორიტეტისგან და სუბიექტური მრწამსისგან განსხვავებით, სახელმწიფო მცოდნეა; მის პრიციპში შინაარსი არსებითად გრძნობისა და რწმენის ფორმით როდი არსებობს, არამედ ის განსაზღვრულ აზრს განეკუთვნება. როგორც თავისთვად და თავისთვის მყოფი შინაარსი რელიგიის გეშტალტში განსაკუთრებულ შინაარსად გვევლინება, როგორც ეკლესიის რელიგიური თემისთვის დამახასიათებელი სწავლება, ისიც სახელმწიფოს სფეროს მიღმა რჩება (პროტესტანტიზმში იმიტომ არ არსებობს სამღვდელოება, რომელიც ეკლესიური დოქტრინის მცველი იქნებოდა, რომ მასში არ არიან საერონი). ვინაიდან ზნეობრივი პრინციპები და სახელმწიფო წესრიგი, საერთოდ, რელიგიის სფეროში გადადის, და არათუ უპრიანია, არამედ ჯერ არს კიდევ მასთან იყოს მიმართებაში, ვინაიდან ამგვარი მიმართება სახელმწიფოს, ერთი მხრივ, რელიგიურ დამოწმებას აძლევს; მეორე მხრივ კი, მას რჩება უფლება და ფორმა თვითცნობიერი, ობიექტური გონებრიობისა, უფლება, ისინი ქმედითად აქციოს და იმ მტკიცებების საპირისპიროდ ამტკიცოს, რომლებიც ჭეშმარიტების სუბიექტური გეშტალტიდან მომდინარეობენ, სულერთია რა რწმუნებულებითა და ავტორიტეტით მტკიცდება ეს უკანასკნელი. ვინაიდან მისი ფორმის როგორც საყოველთაობის პრინციპი არსებითად აზრია, ამიტომ აზროვნებისა და მეცნიერების თავისუფლება სახელმწიფოსგან მომდინარეობს (ეკლესიამ ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვა, გალილეი კი მზის სისტემის კოპერნიკისეული თეორიის გადმოცემისთვის აიძულა მუხლზე დაჩოქილს პატიება ეთხოვა და ა.შ.³). თავის მხრივ, მეცნიერებაც მის მხარეზე იკავებს

³ ლაპლასი, *სამყაროს სისტემის წარმოდგენა*, V წიგნი, 4 თავი: „რადგანაც გალილეიმ აღმოჩენები (რომელთათვის მას ტელესკოპი და ვენერას სინათლის სხივები დაეხმარა) გააცხადა, მან, ამავდროულად, აჩვენა, რომ ისინი წინააღმდეგობის გარეშე ამტკიცებენ დედამიწის მოძრაობას. მაგრამ, მოძრაობის ეს წარმოდგენა კარდინალის კრების მიერ ერეტიკულად შეირაცხა; გალილეი, მისი თვალსაჩინო დამცველი კი, ინკვიზიციის წინაშე წარდგა და მოეთხოვა, იგი უარეყო, რათა თავი დაეღწია პატიმრობისთვის. სულის კაცისათვის/სულიერი კაცისთვის ჭეშმარიტებისადმი ვნება უძლიერესი ვნებაა. გალილეი, დედამიწის მოძრაობაზე თავისი დაკვირვებებით, დიდხანს ფიქრობდა ახალ ნაშრომზე, სადაც ამისათვის ყველა მტკიცებას განავითარებდა; მაგრამ, იმისათვის, რომ იმავდროულად თავი დაეღწია დევნისათვის, რისი მსხვერპლიც იგი გახდებოდა, მან აირჩია ისინი დიალოგის ფორმით წარმოედგინა. აქ ვხედავთ, რომ უპირატესობა კოპერნიკის სისტემის დამცველის მხარეს იყო; მაგრამ, რადგანაც გალილეიმ მათ შორის ვერ გადაწყვიტა და პტოლემეს მიმდევრების უარყოფილებს მხოლოდ ის წონა მიანიჭა, რაც მხოლოდ შესაძლებელი იყო; ამგვარად, მას შეეძლო მოლოდინი ჰქონოდა სიმშვიდით ტკბობაში არ შეფერხებულიყო, რაც მისმა ასაკმა და შრომებმა დაიმსახურეს. 70 წლის ასაკში იგი ხელახლა წარდგა ინკვიზიციის წინაშე; იგი

თავის ადგილს, ვინაიდან მასაც ფორმის იგივე ელემენტი აქვს, რაც სახელმწიფოს; მას აქვს *შემეცნების* მიზანი; სახელდობრ - გააზრებული *ობიექტური* ჭეშმარიტებისა და გონებრიობის მიზანი. მართალია, მოაზროვნე შემეცნება შესაძლოა, მეცნიერებას მოსწყდეს და შეხედულებად და მოსაზრებად იქცეს, ყურადღება სახელმწიფოს მოწყობის ზნეობრივ საკითხებზე გადაიტანოს, მის პრინციპებს დაუპირისპირდეს და იმავე პრეტენზიით გამოვიდეს, რითაც ეკლესია გამოდის, როცა ეს უკანასკნელი მისთვის დამახასიათებელ *მოსაზრებას* გონებად აცხადებს და მას სუბიექტური თვითცნობიერების უფლებად აღიარებს, თითქოსდა ის თავისუფალი იყოს თავის თვალსაზრისსა და მრწამსში. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ცოდნის სუბიექტურობის პრინციპი (§140 შენიშვნა); ახლა მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს შეუძლია უსასრულო გულგრილობა გამომჟღავნოს *მოსაზრების* - რამდენადაც ის მოსაზრებაა, სუბიექტური შინაარსია და ამიტომ ისე შორს არის განფენილი, რომ თავის თავში არ ატარებს არანაირ ძალასა და ძალაუფლებას - მიმართ, იმ მხატვრების მსგავსად, რომლებიც თავიანთ პალიტრაში ჯიუტად ინარჩუნებენ სამ ძირითად ფერს და ამით უპირისპირდებიან *სკოლურ სიბრძნეს*, რომლის მიხედვითაც შვიდი ძირითადი ფერი არსებობს. მეორე მხრივ, სახელმწიფომ *ობიექტური* ჭეშმარიტება და ზნეობრივი ცხოვრების პრინციპები უნდა დაიცვას ამ ცუდი დებულებების *მოსაზრების* საპირისპიროდ, რამდენადაც იგი საყოველთაო და სინამდვილის ყოვლისშთანმთქმელ მუნყოფნად იხდის თავს, რამდენადაც უპირობო სუბიექტურობის ფორმალიზმი მეცნიერულ ამოსავალ წერტილს თავის საფუძვლად იღებს და სურს სახელმწიფოს საგანმანათლებლო ღონისძიებებს

დააპატიმრეს, სადაც მას მეორედ მოსთხოვეს საკუთარი მოსაზრებების უარყოფა, ერესად განსაზღვრული სასჯელის მუქარით. მას შემდეგი ფიცის ფორმულაზე მოაწერინეს ხელი: „მე, გალილეი, ჩემს სამოცდამეთე წელში სასამართლოს წინაშე პიროვნულად წარმდგარი, მუხლმოდრეკილი და თვალებით წმინდა ბიბლიისკენ მიმართული, რომელსაც ხელით ვეხები, ვფიცავ, რომ სუფთა გულით და ჭეშმარიტი რწმენით ვემიჯნები და ვწყევლი დედამიწის მოძრაობის უმწიფარ, მცდარ და ერეტიკულ სწავლებას და ა.შ.“ რა სანახავი იქნებოდა მუხლმოდრეკილად მოფიცარი საპატიო მხცოვანის ყურება, რომელიც ცნობილი იყო ხანგრძლივი, ბუნების გამოკვლევისთვის მიძღვნილი სიცოცხლით და რომელსაც ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ საკუთარი სინდისის რწმუნების წინააღმდეგ მოუხდა წასვლა, რაც [ჭეშმარიტება] მან მთელი დარწმუნების ძალით წარმოადგინა. ინკვიზიციის განაჩენით მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ერთი წლის შემდგომ, ფლორენციის დიდი ჰერცოგის გადაწყვეტილებით, იგი განთავისუფლდა. იგი 1642 წელს გარდაიცვალა. მისმა დანაკარგმა მთელი ევროპა დაამწუხრა, რომელიც მისი შრომებით განათლდა, და დაამწუხრა ასეთი დიადი ადამიანის წინააღმდეგ ამაზრზენი ტრიბუნალის მიერ გამოტანილმა განაჩენმა.“

ეკლესიის პრეტენზიები მიანიჭოს და ისინი თვითონ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართოს; და პირიქით, როცა სახელმწიფო უპირისპირდება ეკლესიას, რომელსაც პრეტენზია აქვს შეუზღუდავ და უპირობო ავტორიტეტზე, მან უნდა აღიაროს თვითცნობიერების ფორმალური უფლება თავისი თავის გაგებაზე, მრწამსსა და საერთოდ იმის გააზრებაზე, რაც ჯერ არს მნიშვნელოვნებდეს როგორც ობიექტური ჭეშმარიტება. ასევე შეძლება მოვიხსენიოთ *სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობა* - განსაზღვრება, რომელიც მრავალჯერ განიხილებოდა და უმაღლეს იდეალად მიიჩნეოდა ახალ დროებში. თუ მათი არსებითი ერთიანობა პრინციპებისა და მრწამსის ჭეშმარიტებაა, მაშინ ასევე არსებითია ისიც, რომ ამ *განსხვავების* ერთიანობასთან ერთად მივიღეთ *განსაკუთრებულ ექსისტენცამდე*, რომელიც მათ ცნობიერების ფორმებში აქვთ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ეგზომ სასურველ ერთიანობას აღმოსავლურ დესპოტიზმში ვნახულობთ - მაგრამ იქ სახელმწიფო არ არის ხელთმყოფი - არ არსებობს როგორც თვითცნობიერი, სულის შესაფერისი ფორმირება სამართალში, როგორც თავისუფალი ზნეობრიობა და ორგანული განვითარება. - უფრო მეტიც, თუ სახელმწიფო როგორც სულის *თავის თავში მცოდნე*, ზნეობრივი სინამდვილე მუნყოფნას შეიძენს, მისი ფორმა აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ავტორიტეტისა და რწმენისგან; მაგრამ ამგვარი განსხვავება მხოლოდ იმდენად იჩენს თავს, რამდენადაც თავის მხრივ ეკლესიაც თავის თავში დაყოფილია; სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შუძლია თავისი ფორმის პრინციპი, *აზრის საყოველთაობა* მოიპოვოს და მას ექსისტენცი მიანიჭოს, როცა ის *განსაკუთრებულ* ეკლესიებზე მაღლდება; მაგრამ ამის შესამეცნებლად აუცილებელია ვიცოდეთ არა მხოლოდ ის თუ რა არის საყოველთაობა *თავის თავად*, არამედ ისიც თუ რა არის მისი *ექსისტენცი*. ამიტომ მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოსდა ეკლესიის დაყოფა სახელმწიფოსთვის უბედურება იქნებოდა, ან იყო, რომ *მხოლოდ მისი მეშვეობით* შეუძლია იყოს ის, რაც ის თავისი განსაზღვრების მიხედვით არის - თვითცნობიერი გონებრიობა და ზნეობრიობა. ამგვარადვე, ეს ყველაზე ბედნიერი რამაა, რაც კი შეიძლება ეკლესიას შეემთხვეს თავისთვის და თავისი თავისუფლების და გონებრიობის აზრისთვის.

დამატება. სახელმწიფო არის ნამდვილი, და ეს სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ მთელი განსაკუთრებული მიზნების საშუალებით ახორციელებს თავის თავს. სინამდვილე ყოველთვის არის საყოველთაობისა და განსაკუთრებულობის ერთიანობა, საყოველთაობის დაშლა განსაკუთრებულობად, რომელიც თვითკმარი სახით გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მთელშია და მასშია შენარჩუნებული. რამდენადაც ამგვარი ერთიანობა არაა ხელთმყოფი, არაფერი არ არის ნამდვილი, თუნდაც მას ექსისტენცი ჰქონდეს. ცუდი სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ექსისტირებს; ავადმყოფი სხეულიც ექსისტირებს, მაგრამ მას არ აქვს ჭეშმარიტი სინამდვილე. მოკვეთილი ხელიც ხელს ჰგავს და ექსისტირებს, მაგრამ მას არ აქვს ნამდვილი ყოფნა; ჭეშმარიტი სინამდვილე კი აუცილებლობაა: ნამდვილია ის, რაც შინაგანად აუცილებელია. აუცილებლობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ცნებისმიერ განსხვავებებად უნდა დაიშალოს და რომ ამ უკანასკნელმა თავისი მტკიცე და უცვლელი განსაზღვრულობა შეინარჩუნოს, რომელიც უსიცოცხლო როდია, არამედ ამგვარად დაშლაში იგი გამუდმებით ხელახლა ქმნის თავის თავს. აღსრულებულ სახელმწიფოს არსებითად განეკუთვნება ცნობიერება, აზროვნება; ამიტომ, სახელმწიფომ იცის, რა სურს და ეს აზრის სახით იცის. ვინაიდან ცოდნას ახლა თავისი სამკვიდრო სახელმწიფოში აქვს, მეცნიერების ადგილიც მასშია და არა ეკლესიაში. მიუხედავად ამისა, ახალ დროში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო რელიგიისგან უნდა მომდინარეობდეს. სახელმწიფო არის განვითარებული სული და იგი თავის მომენტებს ცნობიერების სინათლეზე ააშკარავებს; იმის წყალობით, რომ ის, რაც იდეაში ძვეს, საგნობრიობაში შემოაბიჯებს, სახელმწიფო გვევლინება როგორც სასრული, და თავს აჩვენებს როგორც სამყაროულობის სფერო, მაშინ როცა რელიგია უსასრულობის სფეროდ წარმოადგენს თავს. ამგვარად, სახელმწიფო გვევლინება როგორც დაქვემდებარებული, და ვინაიდან სასრულს არ ძალუძს თავისთვის არსებობა, ამტკიცებენ, რომ ის ეკლესიას როგორც არსებობის საფუძველს საჭიროებს. თითქოსდა სასრულს არ ჰქონდეს გამართლება და სიწმინდე მას თითქოსდა რელიგიისა და უსასრულობისადმი მისი კუთვნილების წყალობით ენიჭებოდეს. მაგრამ, საკითხის ამგვარი განხილვა უკიდურესად ცალმხრივია. თუმცა სახელმწიფო არსებითად საერო და სასრულია და მას

განსაკუთრებული მიზნები და ძალაუფლებები აქვს, მაგრამ საეროობა მისი მხოლოდ ერთი მხარეა და მხოლოდ არასულიერ აღქმას მიაჩნია ის ოდენ სასრულად. სახელმწიფოს აქვს ცხოველი სამშვიდველი, და განმასულიერებელი (beseelend) არის სუბიექტურობა, რომელიც განსხვავებების შექმნაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთიანობაში შენარჩუნებაა. რელიგიის საუფლოშიც არსებობს განსხვავებები და სასრულობანი. ღმერთი ეკლესიური სწავლების მიხედვით სამერთიანია: ამგვარად, არსებობს სამი განსაზღვრება, რომელთა ერთიანობა სულია. ამიტომ, ღვთაებრივი ბუნების კონკრეტული წვდომა განსხვავებათა საშუალებით ხდება. ამგვარად, ღვთის სასუფეველში ისევე არსებობენ განსხვავებები როგორც საეროში, და რომ მსოფლიო სული ე.ი. სახელმწიფო მხოლოდ სასრული არის, ცალმხრივი შეხედულებაა, ვინაიდან სინამდვილეში არაფერია არაგონებრივი. ცუდი სახელმწიფო, მართალია, საერო და სასრულია, მაგრამ გონებრივი სახელმწიფო შინაგანად უსასრულოა. მეორე ის არის, რომ, როგორც ამბობენ, სახელმწიფომ თავისი გამართლება რელიგიაში უნდა ჰპოვოს. იდეა, როგორც რელიგიაში, არის სული გრძნობა-გუნების შინაგანში, მაგრამ იგივე იდეაა ის, რომელიც სახელმწიფოში თავის თავს საეროობას ანიჭებს და ცოდნასა და ნებაში მუნყოფნასა და სინამდვილეს იქმნის. თუ ვინმე იტყვოდა, რომ სახელმწიფო რელიგიას უნდა ეფუძნებოდეს, ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ის გონებრიობაზე უნდა იყოს დავანებული და მისგან მომდინარეობდეს. მაგრამ ეს დებულება შეიძლება დამახინჯებულად იქნეს გაგებული: იმ ადამიანების სული, რომლებიც შეკრულნი არიან არათავისუფალი რელიგიით, ყველაზე მეტად არიან მორჩილებისადმი მიდრეკილნი. მაგრამ ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა. მართალია, შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავისუფალი რელიგია ცრურწმენის ზეგავლენით არათავისუფალ რელიგიად იქცეს. თუ ამას ვინმე ისე გაიგებს, რომ ინდივიდებს რელიგია უნდა ჰქონდეთ, რათა მათი შეკრული სული სახელმწიფოში კიდევ უფრო დაითრგუნოს, მაშინ ეს ზემორე დებულების ყველაზე ცუდი გაგება იქნებოდა; თუ ფიქრობენ, რომ ადამიანები პატივს უნდა მიაგებდნენ სახელმწიფოს, ამ მთელს, რომლის განშტოებებიც თვითვე არიან, მაშინ ეს ყველაზე უკეთ მისი არსის ფილოსოფიური გააზრების საშუალებითაა შესაძლებელი; მაგრამ მისი დანაკლისის შემთხვევაში ამისკენ წაძლოა რელიგიურ მრწამსსაც შეუძლია. ამგვარად, სახელმწიფო შესაძლოა, რელიგიასა

და რწმენას საჭიროებდეს. მაგრამ სახელმწიფო, არსებითად, იმით განსხვავდება რელიგიისგან, რომ მის მოთხოვნას სამართლებრივი ვალდებულების სახე აქვს და რომ ის გულგრილია იმის მიმართ, თუ გრძნონა-გონების რომელი გემტალტით განხორციელდება [ის]. ამის საპირისპიროდ, რელიგია შინაგანობის სფეროა, და სახელმწიფოს მოთხოვნა თუ რელიგიური ყაიდისა იქნებოდა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა შინაგანობის უფლება; ხოლო რელიგია ტირანულ რელიგიად გადაგვარდებოდა, თუ ის სახელმწიფოსავით მოიქცეოდა და სასჯელს დააწესებდა. მესამე განსხვავება, რომელიც კავშირშია ზემოხსენებულ განსხვავებებთან, იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიის შინაარსი იდუმალია და იდუმალურადვე რჩება და გუნება/სულის განწყობა, გრძნობა და წარმოდგენაა ის, რასაც ემყარება. ამ ნიადაგზე ყველაფერს სუბიექტურობის ფორმა აქვს, მაშინ როცა სახელმწიფო თავის თავს თვითონ ახორციელებს და თავის განსაზღვრებებს მტკიცე მუნყოფნას ანიჭებს. თუ რელიგიურობა შეეცდებოდა სახელმწიფოში იმნაირადვე ქმედითეყო თავისი თავი, როგორც ამას მიჩვეულია საკუთარ ნიადაგზე, მაშინ სახელმწიფო ორგანიზაციას დაამხოდა, ვინაიდან სახელმწიფოში ადგილი აქვს უკიდურეს განსხვავებებს, რელიგიაში კი, პირიქით, ყველაფერი ტოტალობას მიემართება; თუ ამგვარი ტოტალობა სახელმწიფოში ყველა ურთიერთობას დაეუფლებოდა, ეს ფანატიზმი იქნებოდა; მას ყველა განსაკუთრებულში მთელი ენდომებოდა, ამას შედეგად მხოლოდ განსაკუთრებულის განადგურება მოჰყვებოდა. ფანატიზმი სწორედ იმას ნიშნავს, რომ არ დაუშვას განსაკუთრებული განსხვავებები. როცა ამბობენ, რომ „წმინდანისთვის /კეთილმორწმუნისთვის კანონი არ არსებობს“, ეს სხვა არაფერია, თუ არა ამგვარი ფანატიზმის გამოხატულება. როცა ღვთისმოსაობა/კეთილმორწმუნეობა სახელმწიფოს ადგილს იკავებს, ის ვერ ითმენს განსაზღვრულს და ანადგურებს მას. ამასთანავე, ღვთისმოსაობა გადაწყვეტილებას ანებებს სინდისსა და შინაგანობას და არ განისაზღვრება *საფუძვლებით*. ეს შინაგანობა საფუძვლებამდე არ ვითარდება და მათ ანგარიშს არ უწევს. თუ ღვთისმოსაობას სახელმწიფოს სინამდვილედ მივიჩნევდით, მაშინ კანონები გვერდზე იქნებოდა გადადებული და კანონმდებელი სუბიექტური გრძნობა იქნებოდა. ეს შეგრძნება კი ცარიელი თვითნებობა იქნებოდა, და არის თუ არა ასეთი, ამის მოქმედებებიდან

შევიმეცნებდით, მაგრამ რამდენადაც ისინი მოქმედებებად ანუ მცენებებად იქცევიან, კანონის სახეს იღებენ, რაც ეწინააღმდეგება სუბიექტურ გრძნობას. როცა ღმერთი ამ გრძნობის საგანია, ის განსაზღვრულ რამედ იქცევა, მაგრამ ღმერთი საყოველთაო იდეაა და ამ გრძნობაში განუსაზღვრელია, და არ არის მომწიფებული იმისთვის, რომ განსაზღვროს თუ რა არსებობს სახელმწიფოში განვითარებული სახით. სწორედ იმით, რომ სახელმწიფოში ყველაფერი მტკიცე და უზრუნველყოფილია, ის საყრდენი არის თვითნებობისა და პოზიტიური მოსაზრების წინააღმდეგ. ამრიაგად, რელიგია როგორც ასეთი არ უნდა იყოს მმართველი.